საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 487 2018 წლის 9 ოქტომბერი ქ. თბილისი

„სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის მაღალი რისკის მქონე სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 ნოემბრის №584 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის მაღალი რისკის მქონე სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 ნოემბრის №584 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 19/11/2015, 130000000.10.003.018970) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის:

1. მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.“.

2. მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. მე-11 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 11[1] პუნქტი:

„11[1]. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახური.“.

4. მე-14 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 14[1] პუნქტი:

„14[1]. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო .“.

5. ბოლოს დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

„შენიშვნა:

1. ამ დანართის პირველი – მე-11 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის მაღალი რისკის მქონე სუბიექტს წარმოადგენს შესაბამისი სამინისტროს/უწყების მთლიანი სისტემა ამავე დანართის მე-13 პუნქტის გათვალისწინებით.

2. ამ დანართის 11[1] – 14[1] პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, შესაბამისი დაწესებულება წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის მაღალი რისკის მქონე დამოუკიდებელ სუბიექტს.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**